სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/04

ქ. თბილისი 27 იანვარი 2023 წ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის და მისი სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ანზორ აბშილავას სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 იანვრის №01-05-02/03 სხდომის ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტზე 2023 წლის 17 იანვარს გამოცხადებული კონკურსით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის ასარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია და მისი სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

**საკონკურსო კომისია:**

**მარინა ჯავახიშვილი** -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
**ზურაბ გვიშიანი**-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
**ირაკლი გუჯაბიძე**-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი,პროფესორი;
**ლიანა თარგამაძე** -საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

**ლია მეტრეველი**-საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

**საკონკურსო კომისიის სამდივნო:**
**ხათუნა ვეფხვაძე** - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
**ნანა დოლიძე** - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის მე-4 სასწავლო კორპუსში (კოსტავას,77) თვალსაჩინო ადგილას.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**